საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №336
2016 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 79-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადგილობრივი თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1000 ცალ აქციზურ მარკაზე (მშრალი) – 3.2 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

გ) ადგილობრივი თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1000 ცალ აქციზურ მარკაზე (თვითწებადი) – 8.2 ევროს ეკვივალენტი ლარებში;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**